

**გამეორება მხატვრულ ნაწარმოებში
და მისი გადმოცემა თარგმანში**

**REPETITIONS IN A LITERARY TEXT AND WAYS
OF TRANSFERRING THEM IN THE PROCESS
OF TRANSLATION**

მარინე ალექსიძე

Marine Aleksidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გამეორება, სტილისტური ხერხი, ექსპრესიულობა, სამეტყველო დახასიათება.

Keywords: Repetition, stylistic figure, expressiveness, speech characteristic.

განმეორების თავისებურებას, რომლის გამო ავტორები ფართოდ იყენებენ ამ ხერხს, წარმოადგენს მისი სტილისტური მრავალფუნქციონალობა და ფართო შეთანხმების შესაძლებლობა სხვა სტილისტურ ხერხებთან. სტილისტური ფიგურა „განმეორება“ ზოგჯერ ხდება ამა თუ იმ ავტორის ინდივიდუალურ-მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, რომელიც გადადის ერთი ნაწარმოებიდან მეორეში. განმეორება, როგორც სტილისტური კატეგორია, წარმოადგენს თ. დოსტოევსკის სტილური სისტემის განუყოფელ ნაწილს, მხატვრულად გამართლებულს ავტორის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში და მისი შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე. განმეორებები უშუალოდ უკავშირდება თ. დოსტოევსკის ინდივიდუალური ხელწერის „სტილის შემქნელ ბირთვს“ და გამომდინარეობს მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ბუნებიდან. განმეორებების ხასიათში, მათ რიცხოვრივ გამოყენებაში, სტრუქტურულ და სტილურ თავისებურებებში განსაკუთრებული სიმძაფრით ვლინდება თხრობის მღელვარება და დაძაბულობა. თ. დოსტოევსკის შემოქმედებაში განმეორებები ექსპრესიულობის სხვა ხერხებთან ერთად წარმოადგენს მხატვრული ფორმის შინაარსობრივ ელემენტებს.

წარმოდგენილი კვლევა ჩატარებულია თ. დოსტოევსკის რომან „ძმები კარამაზოვების“ და ქართულ ენაზე მისი თარგმანების მასალაზე და მოწოდებულია გააფართოვოს წარმოდგენა განმეორებაზე, როგორც ეფექტურ სტილისტურ საშუალებაზე, მხატვრულ ნაწარმოებში მისი სახეობებისა და ფუნქციების თვალსაზრისით და, ასევე, მისი მეორე ენაზე გადმოტანის თვალსაზრისით. რომან „ძმები კარამაზოვებში“ განმეორებებს, როგორც პერსონაჟის სამეტყველო დახასიათების ერთ-ერთ საშუალებას, აქვს ღრმად ინდივიდუალური ხასიათი. განმეორებები ასახავს გმირების სულიერ მდგომარეობას და ხშირად მათი აზროვნების თავისებურებას.

ანალიზის პროცესში გამოვლინდა თ. დოსტოევსკის რომან „ძმები კარამაზოვებში“ განმეორებების ქართულად თარგმანის ძირითადი საშუალებები. განმეორებები ატარებენ მნიშვნელოვან პრაგმატულ, სოციო-ლინგვისტურ და ფსიქოლინგვისტურ ინფორმაციას პერსონაჟების მდგომარეობაზე, ახასიათებენ თანამოსაუბრეების ურთიერთდამოკიდებულებას და კომუნიკაციური სიტუაციის სხვა შე-

მადგენელ ელემენტებს, ამიტომ მათი გადმოცემა თარგმანის დროს იპყრობს სერიოზულ ყურადღებას და ოპტიმალური მთარგმნელობითი გადაწყვეტილებების მოძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადეკვატურობის მიღწევას თარგმანში. ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევაში ორიგინალისა და თარგმანის განმეორებების სტრუქტურა არ ემთხვევა ერთმანეთს, განპირობებულია მთარგმნელის მიერ ტექსტის ინტერპრეტაციის სპეციფიკით და ტიპოლოგიური სხვადასხვა ენის – რუსულისა და ქართულის – სტილისტური შესაძლებლობებით.

ლიტერატურა:

- Kazaeva, L.** (2006) *Vidy i funktsii povtorov v tekstah poeticheskogo i hudozhestvennogo zhanra / Vestnik Yugorskogo gosudarstvennogo universiteta*, Vyipusk 5. S. 50-53.
- Shmelev, D.** (2019) *Sintaksicheskaya chlenimost vyiskazyvaniya v sovremennom russkom yazyike*. URSS. 150 c. ISBN 978-5-484-01404-0.
- Tannen, D.** *Talking Voices: Repetition, Dialogue, and Imagery in Conversational Discourse (Studies in Interactional Sociolinguistics)*, 2nd Edition, Cambridge England; New York: Cambridge University Press. 1989.

The peculiarity of the repetition, which allows the authors to widely apply this technique, is its stylistic multifunctionality and the possibility of wide compatibility with other stylistic means. The stylistic figure “repetition” sometimes becomes one of the characteristic features of the individual artistic style of one or another author, passing from one of his works to another. Repetition as a stylistic category is an integral feature of F.M. Dostoevsky, artistically justified in his works of different genres and at different stages of his work. Repetitions are directly related to the “style-forming core” of Dostoevsky’s individual handwriting and stem from the nature of the writer’s creative individuality. In the nature of repetitions, in their quantitative use and stylistic originality, the excitement and tension of the narrative are manifested with particular vividness. Along with other expressive means, repetitions in Dostoevsky’s work are “meaningful elements of the artistic form”.

This study was conducted based on the novel by F. Dostoevsky “The Brothers Karamazov” and is intended to expand the understanding of stylistic repetition as a vivid means of expression in a work of art in terms of its types and functions, as well as methods of translation. In the novel «The Brothers Karamazov», repetitions as one of the means of speech characterization of characters are deeply individual in nature. Reflecting the state of mind of the heroes, they often reflect the originality of their thinking.

The analysis revealed the main ways of translating repetitions in the novel “The Brothers Karamazov” into Georgian. Repetitions carry significant pragmatic, sociolinguistic and psycholinguistic information about the state of the characters, characterize the relationship of the interlocutors and other components of the communicative situation, therefore, their transfer during translation requires serious attention to them and the choice of optimal translation solutions that contribute to the achievement of adequacy in the translation text. The discrepancy between the structures of repetitions of the original and the translation is due to the specifics of the interpretation of the text by the translator, as well as the stylistic possibilities of typologically different languages – Russian and Georgian.

References:

- Kazaeva, L.** (2006) Vidy i funktsii povtorov v tekstah poeticheskogo i hudozhestvennogo zhanra / Vestnik Yugorskogo gosudarstvennogo universiteta, Vyipusk 5. S. 50-53.
- Shmelev, D.** (2019) Sintaksicheskaya chlenimost vyiskazyvaniya v sovremennom russkom yazyike. URSS. 150 c. ISBN 978-5-484-01404-0.
- Tannen, D.** Talking Voices: Repetition, Dialogue, and Imagery in Conversational Discourse (Studies in Interactional Sociolinguistics), 2nd Edition, Cambridge England; New York: Cambridge University Press. 1989.